With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

**Jean Monnet Module:** 101084764 — EU-LP-GE

# ევროკავშირი და საქართველოს სამართლებრივი ევროპეიზაცია

# EU and LEGAL Europeanisation of Georgia

## ტრენინგის მოდული

## Training Module

# ეკატერინე ქარდავა/Ekaterine KARDAVA

# გურანდა ჭელიძე/Guranda CHELIDZE

@კავკასიის უნივერსიტეტი
@ავტორი


2024

## *ტრენერები და ტრენინგის მოდულის ავტორები*

**ეკატერინე ქარდავა:** სამართლის დოქტორი (თსუ), ჟან მონეს პროფესორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე.

- **თემატური მიმართულებები:** ევროკავშირის გაფართოება; საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები; ასოცირების შეთანხმება; სამართლებრივი აპროქსიმაცია; შრომის სამართალი; ევროკავშირის სამართალი; დისკრიმინაცია; საჯარო სამსახური; შრომითი მიგრაცია; ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა და მომხმარებელთა უფლებები.
- **10 წელზე მეტი - ექსპერტი, მკვლევარი, ტრენერი** : FES, CSRDG, PMCG, GIZ, ICMPD, KAS, USAID, IOM, CIPE);
- **21 წელი საჯარო სამსახურში საქმიანობის გამოცდილება,** მათ შორის ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის აპარატის უფროსი; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ევროკავშირის სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების სამმართველოს უფროსი.
- **18 წელი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება.** 30-ზე მეტი წიგნის, სტატიის, კვლევის ავტორი.
- **8 წელზე მეტი სამოქალაქო აქტივიზმი** - 10-ზე მეტი პროექტის ავტორი და კოორდინატორი;
- **ერასმუს+ ჟან მონეს აქტივობების ნაწილში** ოთხი პროექტის ავტორი (გამარჯვებული) და კოორდინატორი. **COST Actions (EU)** პროექტების მმართველი კომიტეტის წევრი.
- **სატელევიზიო პროექტის „ევროპის დროით“** თანა-ავტორი და შინაარსის პროდიუსერი (TV1).
- **ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი**
- **საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ექსპერტი ევროკავშირის საკითხებზე.**

**გურანდა ჭელიძე:** ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟან მონეს პროფესორი, ევროპისმცოდნეობის პროგრამის აკადემიური დირექტორი.

- **სალექციო კურსები:** ევროპის ახალი ისტორია, ევროპის თანამედროვე ისტორია, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით.
- **10 წელზე მეტი საგანმანათლებლო პრგრამების მენეჯმენტში** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი, ექსპერტი.
- **10 წელზე მეტი - ექსპერტი, ტრენერი :** TEMPUS, FES, AMF
- **28 წელი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება.** 50-მდე სტატიის ავტორი, არაერთი გამოცემის რედაქტორი.

- **ერასმუს+ ჟან მონეს  პროექტები:** 1. „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ პროექტის თანაავტორი და კოორდინატორი; 2. „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“  პროექტის პროფესორი.
- **ერასმუს+ გაცვლითი პროგრამების მონაწილე აკადემიური პერსონალისათვის:** ტუშას უნივერსიტეტი (იტალია), ბილგის უნივერსიტეტი (თურქეთი), პოლიტიკური მეცნიერებებისა და საჯარო ადმინისტრირების ეროვნული უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- **COST Actions (EU)** არაერთი პროექტის მმართველი კომიტეტის წევრი.

## სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი ..... 4

2. ტრენინგის ამოცანები ..... 4

3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი ..... 4

4. ტრენინგის ხანგრძლივობა ..... 5

5. სამიზნე ჯგუფი ..... 5

6. ტრენინგის მასალები ..... 5

7. ტრენინგის ლოჯისტიკური მხარე ..... 5

8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა ..... 6

9. ტრენინგის შინაარსი: ..... 6

9.1. ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათება. ევროკავშირის ფასეულობები, დაფუძნებისა და გაფართოების განსაკუთრებული შტრიხები; ..... 6

9.2. ევროკავშირის სამართლის სისტემა და წყაროები; ..... 6

9.3. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი. ..... 6

9.4. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა; საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დინამიკა. ..... 6

9.5. ასოცირების შეთანხმება და DCFTA, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება. ..... 6

9.6. სამართლებრივი აპროქსიმაცია, სახეები, სტადიები, მონიტორინგი; ..... 6

9.7. საქართველოში, ევროპული ინტეგრაციისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის ინსტრუმენტები, სტრუქტურები, კოორდინაციის მექანიზმები. ..... 6

9.8. ევროკავშირის 2023 წლის გაფართოების პაკეტი და ევროკავშირში გაწევრების კრიტერიუმები. ..... 6

9.9. პოლიტიკური, ეკონომიკური და სექტორაული ვალდებულებების ერთიანობის პრინციპის (მდგრადი განვითარების პრინციპის) დაცვა ევროკავშირთან დაახლოების პროცესში. ..... 7

9.10. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ..... 7

9.11. ევროპეიზაციის პროცესის კონკრეტული მაგალითებზე მსჯელობა. ..... 7

10. ლიტერატურა ..... 7

## 1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება **ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus+ პროგრამის Jean Monnet Module-ის ფარგლებში „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“ (EU-LP-GE).** პროექტის ერთ-ერთი მიზანია საუნივერსიტეტო პროგრამების განვითარება ევროპული სწავლების მიმართულებით.

**ტრენინგის მიზანია** ევროკავშირისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ ცოდნის გაძლიერება რეგიონში.

სატრენინგო სწავლება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელს შეუწყობს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებსა და ევროკავშირის გაფართოების პროცესებზე სწორი ინფორმაციის გავრცელებას, ევროკავშირის სამართალთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მნიშვნელობის აღქმას, ევროკავშირის მხრიდან საქართველოს გაძლიერებისკენ მიმართული ინსტრუმენტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ევროპეიზაციის პროცესის სიკეთის კონცეპტუალურ გააზრებას.

## 2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- ევროკავშირის, ევროკავშირის სამართლის, ასოცირების შეთანხმების თაობაზე ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გავრცელება ფართო სამიზნე აუდიტორიასთან;
- სამართლებრივი აპროქსიმაციის სახეების, სტადიებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და ქვეყანაში პროცესების შესახებ შემეცნების ზრდა;
- ევროკავშირის 2023 წლის გაფართოების პაკეტის განმარტება და საქართველოს ევროკავშირში გაწევრების შესახებ სწავლება.

## 3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე ტრენერთა მხრიდან თეორიული მსჯელობა, ფაქტების, ქეისების, ოფიციალური გადაწყვეტილებებისა და პროცესების აღწერა-ინტერპრეტაცია; სხვადასხვა შემთხვევებზე მსჯელობისას აუდიტორიის ჩართულობა; დისკუსია; სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა.

**ჯგუფის წევრები იმუშავებენ შემდეგ დავალებაზე:** შეიმუშაონ რეკომენდაციები - როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი ეთნიკური უმცირესობის რეგიონებში.

## 4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი ითვალისწინებს სამდღიან მუშაობას (22-24 აპრილი, 2024 წ.); დღეში - 8 საათი.

## 5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია:

- *სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები*
- *სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.*

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 50 პირი.

ტრენინგი უფასოა.

## 6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალებია ტრენერთა პრეზენტაციები; ტრენინგის მოდული; ის დოკუმენტები, რომელთა დაფუძნებით ტარდება სამართლებრივი აქტები; ოფიციალური ვებ-გვერდები და საინფორმაციო ლინკები.

## 7. ტრენინგის ლოჯისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციების ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე; მონაწილეებისთვის დარიგდება ფურცლები და კალმები.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის გაცნობა და მონაწილეთა აღრიცხვა.

## 8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნა განხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და ტრენერების მიერ, რომლებიც მოკლედ მიაწოდებენ ინფორმაციას მონაწილეებს:

- *Jean Monnet module-ის შესახებ*
- *ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.*
- *ტრენინგის დღის წესრიგი და ტრენინგისთვის საკითხების შერჩევის საფუძვლების შესახებ.*
- *ტრენერების შესახებ.*

## 9. ტრენინგის შინაარსი:

9.1. ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათება. ევროკავშირის ფასეულობები, დაფუძნებისა და გაფართოების განსაკუთრებული შტრიხები;

9.2. ევროკავშირის სამართლის სისტემა და წყაროები;

9.3. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

9.4. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა; საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დინამიკა.

9.5. ასოცირების შეთანხმება და DCFTA, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება.

9.6. სამართლებრივი აპროქსიმაცია, სახეები, სტადიები, მონიტორინგი;

9.7. საქართველოში, ევროპული ინტეგრაციისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის ინსტრუმენტები, სტრუქტურები, კოორდინაციის მექანიზმები.

9.8. ევროკავშირის 2023 წლის გაფართოების პაკეტი და ევროკავშირში გაწევრების კრიტერიუმები.

9.9. პოლიტიკური, ეკონომიკური და სექტორაული ვალდებულებების ერთიანობის პრინციპის (მდგრადი განვითარების პრინციპის) დაცვა ევროკავშირთან დაახლოების პროცესში.

9.10. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

9.11. ევროპეიზაციის პროცესის  კონკრეტული მაგალითებზე მსჯელობა.

## 10. ლიტერატურა


- საქართველოს კონსტიტუცია
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06,2014
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- საქართველოს მთავრობის 186-ე განკარგულება, 07.02.2014
- ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სახელმძღვანელო, 2019 (დამტკიცებულია მთავრობის მიერ 2020 წლის 30 იანვარს 184 დადგენილებით).
- ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (მაასტრიხტის ხელშეკრულება)
- ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (ლისაბონის ხელშეკრულება).
- ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოს შესახებ;
- მარჯანიძე ა., ევროკავშირში გაწევრების პროცესი და კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2022.
- ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის საქართველოს პროგრესის შეფასების დოკუმენტი;
- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება 14-15 დეკემბერი, 2023.
- ევროპული საბჭოს 1993 წლის კოპენჰაგენის გადაწყვეტილება.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის დეკლარაცია, 2008.
- თანამშრომლობა მობილურობისათვის დეკლარაცია, 2009.
- ქარდავა ე. ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023.
- ქარდავა ე., კოპენჰაგენს+1 და საქართველოს კანდიდატობა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 12/2023.
- ჭელიძე გ. „ევროკავშირი-საქართველოს უახლესი ურთიერთობების შტრიხები და სამომავლო ევროპეიზაციის“ პერსპექტივები, ევროკავშირის კანონთა სახე-რეგულირების პრაქტიკა საქართველოში, 2022.

- ქარდავა ე., ასოცირების შეთანხმების, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ადგილი ეროვნულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2021.
- ჭელიძე გ., ქარდავა ე., ბრაგვაძე ზ., ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში, სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტი, 2020.
- ჭელიძე გ., ქარდავა ე., ბრაგვაძე ზ., ევროკავშირის, ევროპული ფასეულობებისა და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხი ეთნიკურ უმცირესობათა და დევნილებით დასახლებულ რეგიონებში - კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს პროექტის "ევროპული სწავლების სამკუთხედის" მაგალითზე, ჟურნალი "ენა და კულტურა", N26, 2021.
- Chelidze G., Kardava E., Bragvadze Z., Raising EU Awareness in Ethnic Minority Areas – Following the One Example of a Jean Monnet Project „Triangle Effect of European Studies at Schools“, International journal of multilingual education, 2020.